საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№59 2020 წლის 10 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – იუსტიციის სახლს (შემდგომში – იუსტიციის სახლი) მიეცეს თანხმობა:

ა) იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №29.14.34.286) განთავსებული საზოგადოებრივი ცენტრის შენობა-ნაგებობის ნაწილი – 3 კვ. მ ფართი აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადასცეს შპს „მაგთიკომს“ 5 წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირის – 671 (ექვსას სამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით გადახდის სანაცვლოდ;

ბ) იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №51.20.54.195) განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი – 3 კვ. მ ფართი აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადასცეს შპს „მაგთიკომს“ 5 წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირის – 671 (ექვსას სამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით გადახდის სანაცვლოდ.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**